



**პირველადი ჯანდაცვის სისტემაში
ლგბტქი ადამიანების მიმართ
განწყობების კვლევა**

თბილისი, 2022

აბსტრაქტი

პირველადი ჯანდაცვის სისტემის ექიმი სპეციალისტების (ინტერნისტები, ოჯახის ექიმები, თერაპევტები, გადაუდებელი მედიცინის ექიმი სპეციალისტები) გამოკითხვა ცხადყოფს მათი დამატებითი და უწყვეტი განათლების აუცილებლობას, როგორც დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების (სამედიცინო ეთიკა, საექიმო სამართალი, სექსოლოგია, გენდერის თეორია და სხვ.), ისე, დიპლომირებული მედიკოსების დიპლომის შემდგომი მზადების და ექიმ სპეციალისტთა (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე) უწყვეტი განათლების ფარგლებში რამაც, უნდა უზრუნველყოს კომპეტენციის გაზრდა ლგბტქ+ თემის წევრებს მუდმივად უწევთ სოციალური სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციის და მარგინალიზაციის წინაშე ყოფნა, რაც მათი ჯანმრთელობის ნეგატიურ შედეგებს განაპირობებს. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ამძიმებს მათ ყოველდღიურობას და აუარესებს ცხოვრების ხარისხს, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან, ავადობასთან და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან.

შესავალი

სხვადასხვა მონაცემების მიხედვით ლგბტქ+ ადამიანებს აქვთ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მომატებული რისკი. კვლევებმა აგრეთვე აჩვენა, რომ ზოგად პოპულაციასთან შედარებით ისინი ნაკლებად მიმართავენ პროფილაქტიკურ სამედიცინო კვლევებს. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ლგბტქ+ საზოგადოებაში მაღალია თამბაქოს, ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრაქტიკა, რაც კიდევ უფრო ზრდის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს.

სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით ტრანსგენდერ ქალებსა და მამაკაცებს ეხება.

ლგბტქ+ ადამიანების წინაშე აღმართულია არაერთი ბარიერი, რის გამოც მათ არ ეძლევათ საშუალება, მიიღონ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების მომწოდებელთა კომპეტენციის სიმცირე სექსუალობისა და გენდერის საკითხებში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევით შევისწავლეთ პირველადი ჯანდაცვის სისტემასთან ლგბტქ+ ადამიანების ურთიერთობის გამოცდილება. სულ გამოიკითხა 21 ადამიანი, მათ შორის - 9 სისგენდერი გვი მამაკაცი, 6 სისგენდერი ლესბოსელი ქალი, 3 სისგენდერი ბისექსუალი (2 მამაკაცი და 1 ქალი), 3 ტრანსგენდერი (2 ტრანსგენდერი ქალი და 1 ტრანსგენდერი მამაკაცი).

პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ლგბტქ+ ადამიანების, გენდერის და სექსუალობის მიმართ განწყობების საკვლევად გამოიკითხა 7 სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების 27 ექიმი, მათ შორის - 12 ოჯახის ექიმი, თერაპევტი, ინტერნისტი და 15 - გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, ანონიმური და კონფიდენციალური.

ლგბტქ+ ადამიანებისთვის განკუთვნილი კითხვარი შედგებოდა 28 შეკითხვისგან, რომელთაგან პირველი ნაწილი ეხებოდა კვლევაში მონაწილე პირის გენდერს, ასაკს და სქესობრივ ორიენტაციას, ქრონიკული დაავადებების არსებობა/არარსებობას, ქრონიკული და განმეორებადი სამედიცინო საჭიროებების არსებობა/არარსებობას, შეკითხვების მეორე ნაწილი ეხებოდა ლგბტქ+ ადამიანების გამოცდილებას სამედიცინო მომსახურების ს მიღების კუთხით და აქ არსებულ ბარიერებს. კვლევაში მონაწილეებმა აგრეთვე შეაფასეს სამედიცინო პერსონალის ე. წ. კულტურული კომპეტენცია. კულტურული კომპეტენციის კითხვარი ეხებოდა ექიმების უნარს და ცოდნას, იმუშაონ პაციენტთან მის კულტურულ კონტექსტში.

ექიმებისთვის განკუთვნილი კითხვარი სამ ნაწილს მოიცავდა და შედგებოდა 36 შეკითხვისგან. კითხვარის პირველი ნაწილი ეხებოდა კვლევაში მონაწილე პირის გენდერს, ასაკს და სამედიცინო სპეციალობას. კითხვარის მეორე ნაწილი აფასებდა ექიმების ცოდნას სქესის, გენდერის და სექსუალობის შესახებ, აგრეთვე - მათ ზოგად დამოკიდებულებას ლგბტქ+ არაპაციენტი ადამიანების მიმართ, რაც ბოგარდუს სკალის მიხედვით შედგა, კითხვარის მესამე ნაწილი ლგბტქ+ ადამიანებთან სამედიცინო კონტექსტში კომუნიკაციის გამოცდილებას ეხებოდა.

შედეგები

კითხვარი პირველადი ჯანდაცვის სისტემასთან ლგბტქ+ ადამიანების ურთიერთობის გამოცდილების შესახებ გაეგზავნა 38 პირს, რომელთაგან კითხვარის შევსება დაასრულა 21-მა პირმა. 17 ადამიანის პასუხი, რომელთაც კითხვარი ნაწილობრივ შეაფასეს, არ იქნა გათვალისწინებული კვლევის შედეგებსა და ანალიზში. გამოკითხულთა გენდერული იდენტობა, სქესობრივი ორიენტაცია, შესაბამისი რაოდენობებისა და საშუალო ასაკის მითითებით, იხილეთ ცხრილში 1.

ცხრილი 1

გენდერული იდენტობა და სქესობრივი ორიენტაცია	რაოდენობა	საშუალო ასაკი
სისგენდერი გეი მამაკაცი	9	28 წლის
სისგენდერი ლესბოსელი ქალი	6	26 წლის
სისგენდერი ბისექსუალი მამაკაცი	2	29 წლის
სისგენდერი ბისექსუალი ქალი	1	24 წლის
ტრანსგენდერი ქალი	2	32, წლის
ტრანსგენდერი მამაკაცი	1	34 წლის

გამოკითხულთა შორის მხოლოდ 12 ადამიანს ჰქონდა პირველადი ჯანდაცვის სისტემის მომსახურების მიღების გამოცდილება, დანარჩენ გამოკითხულებს კი (9 ადამიანს) - სულ მცირე 2 სხვადასხვა დარგის

ექიმ სპეციალისტთან (მათ შორის - ექიმ სტომატოლოგთან) ვიზიტის გამოცდილება (იხილეთ ცხრილი 2).

ცხრილი 2

სამედიცინო სპეციალიზაცია	გამოკითხულთა რაოდენობა, რომელთაც მიუმართავთ ექიმისთვის
ექიმი თერაპევტი (ოჯახის ექიმი)	8
ER ექიმი	5
სხვა დარგის ექიმი სპეციალისტი	9

გამოკითხული ლგბტქ+ პირების 28,5% (n=6) აცხადებს, რომ აქვს ქრონიკული დაავადება. 23,8% (n=5) აცხადებს, რომ ცხოვრების განმავლობაში სულ მცირე ერთხელ მაინც ყოფილან სამედიცინო დაწესებულების ER განყოფილებაში - სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის- თვითმკვლელობის მცდელობის გამო. გამოკითხულთა 38% (n=8) ამბობს, რომ ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც ყოფილან ექიმ თერაპევტთან (ოჯახის ექიმთან) - სხვადასხვა მიზეზით. გამოკითხულთა 9,5% აცხადებს, რომ თავს არიდებს ექიმთან ვიზიტებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად დამძიმებამდე, რაც განპირობებულია დისკრიმინაციის შიშით.

გამოკითხულთა 28% (n=6) ამბობს, რომ სამედიცინო მომსახურების მიღებისას ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი როგორც უშუალოდ ექიმების და სხვა სამედიცინო პერსონალის, ისე სამედიცინო დაწესებულების არასამედიცინო პერსონალის მხრიდან.

გამოკითხულთაგან არც ერთი აღნიშნავს სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე უარის შემთხვევებს.ექიმებისთვის განკუთვნილი კითხვარი შეავსო 7 სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების 27-მა ექიმმა, მათ შორის 12 იყო ოჯახის ექიმი, თერაპევტი, ინტერნისტი , ხოლო 15 - გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი (იხილეთ ცხრილი 3).

ცხრილი 3

ექიმის სპეციალობა	რაოდენობა
ექიმი თერაპევტი	4
ოჯახის ექიმი	6
შინაგანი მედიცინის სპეციალისტი	2
გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი	7
ექიმი რენიმატოლოგი	8

ექიმების საშუალო ასაკმა შეადგინა 36,8 წელი. გამოკითხულთაგან 16 იყო ქალი, 11 - მამაკაცი. კითხვარის მეორე ნაწილით ფასდებოდა სქესის, გენდერის და სექსუალობის შესახებ ცოდნა და აგრეთვე გამოკითხულთა ზოგადი დამოკიდებულება არაპაციენტი ლგბტქ+ ადამიანების მიმართ. გამოკითხულთა:

- 62,9% (n=17) მიიჩნევს, რომ სქესი და გენდერი არის ერთი და იგივე, ადამიანის გენდერს განსაზღვრავს მისი ბიოლოგიური სქესი და შესაბამისად გენდერული დისფორია არის პათოლოგიური მდგომარეობა.
- 40,7% (n=11) მიიჩნევს, რომ გენდერი წარმოადგენს სოციალურ კონსტრუქტს და ის ყალიბდება ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდის პროცესში.
- 14,8% (n=4) მიიჩნევს, რომ სქესი და გენდერი ერთი და იგივე არ არის, არამედ სქესი ბიოლოგიურად დეტერმინირებული მოცემულობაა, გენდერი კი - სოციალური კონსტრუქტი და როლია, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს სქესისგან.
- 44,4% (n=12) მიიჩნევს, რომ ჰომოსექსუალობა, ბისექსუალობა, ლესბოსელობა და ტრანსგენდერული იდენტობა ბიოლოგიურ-ფსიქიკური პათოლოგიაა.
- 22,2% (n=6) ფიქრობს, რომ ჰომოსექსუალური ორიენტაცია გარყვნილებაა და შეიცავს სქესობრივი ძალადობის გაცილებით მაღალ რისკს, ვიდრე - ჰეტეროსექსუალური ორიენტაცია იმდენად, რამდენადაც ის სექსოლოგიურ-ფსიქიკური აშლილობაა.
- 77,7% (n=21) ამბობს, რომ არ სურს ყავდეს ლგბტქ+ შვილი ან ოჯახის სხვა წევრი.
- 70,3% (n=19) აცხადებს, რომ ის ლგბტქ+ ადამიანების ქორწინებისა და სოციალური პარტნიორობის წინააღმდეგია.
- 22,2% (n=6) ფიქრობს, რომ ლგბტქ+ ადამიანების პრობლემებსა და სოციალურ თუ სამართლებრივ ბარიერებზე პასუხისმგებლები თვითონ ლგბტქ+ ადამიანები არიან.
- არცერთს უთქვამს, რომ უარს ეტყვის ლგბტქ+ ადამიანებს სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე.

კითხვარის მესამე ნაწილი ეხებოდა ლგბტქ+ ადამიანებთან სამედიცინო კონტექსტში კომუნიკაციის გამოცდილებას.

გამოკითხულთა:

- 59,2% (n=16) აღნიშნავს, რომ, საკუთარი საექიმო პრაქტიკის განმავლობაში მომსახურებიან ლგბტქ+ პაციენტებს.
- 100% (n=27) მიიჩნევს, რომ ლგბტქ+ პაციენტებს სთავაზობენ ისეთივე სამედიცინო მომსახურებას ს, როგორც - ზოგად პოპულაციას და არ აღნიშნავენ დისკრიმინაციის შემთხვევებს მათი ან მათი კოლეგების, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების არასამედიცინო პერსონალის მხრიდან.
- ექიმების 51,8% (n=14) მიიჩნევს, რომ პრაქტიკოსი ექიმებისთვის აუცილებელია ლგბტქ+ ადამიანების სპეციფიკური სამედიცინო საჭიროებების აკადემიური ცოდნა და მათთვის უფრო არადისკრიმინაციული და კომფორტული გარემოს შექმნა სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას. გამოკითხულთა 29,6% (n=8) მიიჩნევს, რომ სამედიცინო განათლების და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისთვის მოსამზადებელი პოსტდოქტორული განათლების მიღების შემდგომ საკმარის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ფლობენ

პაციენტების დიაგნოსტიკებისა და მკურნალობისთვის, რაც მათ შორის ლგბტქ+ ადამიანებისთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებასაც გულისხმობს და ამდენად, დამატებითი ცოდნის მიღებას არ საჭიროებენ; 18,5% (n=5) კი თავს იკავებს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან (იხილეთ დიაგრამა).

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტქ+ ადამიანებს ხშირად უწევთ სამედიცინო მომსახურების მიღებისგან თავის შეკავება, ხოლო ექიმთან კონსულტაციისას - საკუთარი გენდერული იდენტობის და სქესობრივი ქცევის შესახებ ინფორმაციის დამალვა. ეს უკანასკნელიც სამედიცინო მნიშვნელობის მქონე პრობლემაა (ტრანსგენდერი ადამიანების ენდოკრინული ტრანზიციის, მატრანსგენდერი ანალური სქესობრივი კავშირის და სხვ. შემთხვევებში). აღნიშნული განპირობებულია წარსული გამოცდილებით ან სოციალური სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციის და მარგინალიზაციის წინასწარი შიშით.

წინამდებარე კვლევის თანახმად, პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ექიმი სპეციალისტების ცოდნა და ცნობიერება ადამიანის სქესის, გენდერისა და სექსუალობის შესახებ საჭიროებს ამაღლებას. საგულისხმოა, რომ ის, რაც ლგბტქ+ ადამიანებისგან ფასდება, როგორც დისკრიმინაცია, ექიმების შეფასებით არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, რაც სამედიცინო პერსონალის მნიშვნელოვანი პრობლემის მაჩვენებელია ე.წ. კულტურული კომპეტენციის ნაწილში.

ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ექიმების კომპეტენციის და ცნობიერების ამაღლება ლგბტქ+ საკითხების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სოციალური სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციის და მარგინალიზაციის შემთხვევების შემცირებას და შესაბამისად გაზრდის ლგბტქ+ ადამიანების სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას.

დიაგრამა: გამოკითხულთა დამოკიდებულება შემდეგი ტიპის ფორმულირებასთან მიმართებით: „აუცილებელია პრაქტიკოსი ექიმების კომპეტენციის ამაღლება სქესის, გენდერის, სექსუალობის და ლგბტქ+ ადამიანების სპეციფიკური სამედიცინო საჭიროებების შესახებ“

